ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 02/20

ქ. თბილისი 23 ივლისი 2019 წელი

ერთი მხრივ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფროსის მოადგილის გიორგი ჩიფჩიურის სახით და მეორე მხრივ, შპს „ლუქს ენერგია“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ ნადირაძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

„ელექტრომასალების“ შესყიდვა (შემდგომში „საქონელი“) (CPV კოდი: 31681410) ხელშეკრულების პირობებისა შესაბამისად.

№	დასახელება	რაოდენ	ფასი	ჯამი
1	სადენი 3*4მმ	100მ	3,5ლ	350,00
2	კარადა 20*30-ზე	2ც	25.00ლ	50,00
3	კარადა 60*80-ზე	1ც	195,00ლ	195,00
4	დინ რეიკა (სალასკა)	1ც	15,00ლ	15,00
5	გადასაბმელი ლატუნი 1მ	1ც	45,00ლ	45,00
6	პლასტმასის ხამუთი 350მმ	2ც	10,00ლ	20,00
7	გოფრირებული მილი	20მ	1,00ლ	20,00
8	კარადა 6-ნი	1ც	11,00ლ	11,00
9	ბუნიკი სპილენძის	8ც	2,50ლ	20,00
10	სადენი 5*35მმ	2მ	54,00ლ	108,00
12				834.00

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **834.00 (რვაას ოცდათოთხმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა და/ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი (დამხმარე სპეციალისტი) - მერაბ გაწერელია.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალექსიძის II შესახვევი N2.
5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 24 ივლისის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია გაწეული მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) განახორციელოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში დროულად აღმოფხვრას გაწეული მომსახურების შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში მიმწოდებელი უხდის შემსყიდველს ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 20%-ს.
7.2 მომსახურების მიწოდების განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს შესასრულებელი ვალდებულების 0.02 %-ის ოდენობით.
7.3 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
7.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური	შპს ,,ლუქს ენერგია“
მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2	მის: ქ.თბილისი ქავთარაძის ქ.. #3
საიდენტიფიკაციო კოდი 205 296 650	ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
სახელმწიფო ხაზინა	კოდი: BAGAGE 22
კოდი : 707667116	საიდენტიფიკაციო კოდი: 400228516
ტელ: 2200220 (3023)	ა/ანგარიში GE64BG0000000051485900
	ტელ: 598 20 13 13
---	---
სამსახურის უფროსის მოადგილე	დირექტორი
გიორგი ჩიფჩიური	მალხაზ ნადირაძე